



MES 2 22 0001261580



10/10/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 6 ოქტომბერს. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/89643507574?pwd=NGVRRRC9RY2VqSEcvVlpScENhMGRtZz09>

Meeting ID: 896 4350 7574

Passcode: 665809

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

თამაზ ბახტაძე - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);

ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

თამარ ჯაფარიძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი (საბჭოს წევრი);

მარკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდლაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაცია:

ივანე ჭყონია - ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი,
ია ერაძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში“ სასწავლო პროცესის მენეჯერი,
მარინე გვრიტიშვილი - პროფესიული მომზადების პროგრამის „დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში“ ხარისხის მართვის მენეჯერი.

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2:

თამთა კვინიკაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი/ ხარისხის მართვის მენეჯერი,
კონსტანტინე ქავთარაძე - ფინანსური მენეჯერი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

პანტელეიმონ გაბუნია,
მანანა მოისწრაფიშვილი,
დავით გუდაძე,
გივი დოლიძე,
თეა ნარეკლიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 10:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი თანხმობა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, თანხმობა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საკითხების განხილვამდე სიტყვა ითხოვა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა, მან აღნიშნა, რომ საბჭოს, ამ შემადგენლობით უფლებამოსილების ვადა ეწურებოდა 10 ოქტომბერს, ინიცირებას, საქართველოს მთავრობის სახელზე, საბჭოს ახალი შემადგენლობის შესახებ, ამზადებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სამწლიანი თანამშრომლობის შემდეგ ამ შემადგენლობით ბოლო საბჭო იმართება, მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, მან დასძინა, რომ საბჭოს სამწლიანი ფუნქციონირება იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ეფექტური, შედეგიანი, საბჭომ საფუძველი დაუდო პროფესიული განათლების სისტემაში ახალ მიმართულებას, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დანერგვას, დაწესებულებების მიმართ მხარდაჭერის სულისკვეთებით. მან დასძინა, რომ გაგრძელდებოდა თანამშრომლობა საბჭოს ახალ შემადგენლობასთან, კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, განსაკუთრებით საბჭოს თავმჯდომარეს მარიამ ქუჩულორიას და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ მადლობა გადაუხადა ნანი დალაქიშვილს და აღნიშნა, რომ ძალიან სასიამოვნო და საინტერესო იყო თანამშრომლობა ცენტრთან, საბჭოს აპარატთან და დაწესებულებებთან. საბჭოს ყველა წევრი განსაკუთრებული იყო და მათთან თანამშრომლობა, საინტერესო და ნაყოფიერი. მან დასძინა, რომ ყველაზე საუკეთესო გამოცდილება იყო მისთვის ეს საქმიანობა, ვინაიდან ეს იყო სიკეთით და პროგრესით სავსე წლები და თითოეულ დაწესებულებასთან ურთიერთობა არის დიდი გამოცდილება.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ დასძინა, რომ მისთვის ძალიან დიდი გამოწვევა იყო საბჭოს წევრობა, ძალიან საინტერესო იყო ეს პროცესი. მან მადლობა გადაუხადა ყველას თანამშრომლობისთვის, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ თავმჯდომარის ნაწილში ძალიან დაბალანსებული იყო ეს პროცესი და ჰარმონიული, ასევე საბჭოს ყველა წევრი, ცდილობდა ყოფილიყო ობიექტური. მან მადლობა გადაუხადა ცენტრს, საბჭოს აპარატს, რომ საბჭოზე ყოველთვის მომზადებული საკითხები იხილებოდა და წარმატება უსურვა ყველას.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ სამი წლის წინ, როდესაც საბჭომ დაიწყო ფუნქციონირება, საბჭოს სხდომა დაიწყო ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის პროფესიული მომზადების პროგრამების უფლების მოპოვებით და დღეს სიმბოლურია, რომ ამ სხდომაზე განიხილება სწორედ ამ დაწესებულების მიერ განმეორებით შემოტანილი პროფესიული მომზადების პროგრამები, პროგრამის ნაწილის მოდიფიცირება განახორციელა დაწესებულებამ, თუმცა ამასთან დაკავშირებით დაწესებულება გაგვიზიარებს თავის მოსაზრებას.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის „დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში“ /01448/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი“ /01471/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ /01465/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „ელექტრორკალური შედუღება“ /01464/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „მონოლითური სამუშაოების შესრულება“ /01466/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება“ /01467/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „სხვადასხვა ტიპის ზედაპირებზე სამღებრო სამუშაოების წარმოება“ /01470/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება“ /01468/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „სხვადასხვა სახის სახურავის მოწყობა“ /01469/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იყო.

1. ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის „დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში“ /01448/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებისთვის ცნობილი იყო

ექსპერტების დასკვნა, დასკვნაში ხარვეზი არ ფიქსირდება. მან მიმართა ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელს, რომ საბჭოსთვის წარედგინათ პროგრამა და ასევე, ესაუბრათ ამ პროგრამის განხორციელების გასული სამი წლის შედეგებზე. ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი ივანე ჭყონია და საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს დირექტორი მესალმნენ საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ვიზიტის დროს გამოვლენილი ნაყოფიერი თანამშრომლობისა და კოლეგიალურობისათვის.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული მომზადების პროგრამის „დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში“ ხარისხის მართვის მენეჯერმა მარინე გვრიტიშვილმა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილმა პროგრამამ განხორციელების უფლება მოიპოვა სამი წლის წინ, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო, ისევ თავიდან შემოაქვს ორგანიზაციას. პროგრამის სახეა მომზადება, პროგრამის მიზანია ისეთი კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ საქართველოს ბაზარზე ოპერირებადი იმპორტიორი და ადგილობრივი მწარმოებლების პროდუქციის თაობაზე დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას, საქონლის რეალიზების არხების მოძიებას, საქონლის მიწოდებას/დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში, საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას, პროცესთან დაკავშირებული მარტივი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას. წარმოდგენილი პროგრამის ავტორი არის ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაცია, რომელმაც იცის რა სჭირდება დარგს. პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, სწავლების ფორმა - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 100, ჯგუფში მსმენელების მაქსიმალური რაოდენობა - 20.

მან განმარტა, რომ თეორიული კომპონენტის სწავლება განხორციელდება საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს ბაზაზე, რაც გულისხმობს შესაბამისი მატერიალური რესურსით აღჭურვილ სასწავლო გარემოს, მაღალკვალიფიციურ განმახორციელებელ პერსონალს, MS Teams-ის ლიცენზირებულ პლატფორმას ონლაინ სწავლებისთვის. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის ქსელში გაერთიანებულ კომპანიებში: 6 პარტნიორი ორგანიზაცია პრაქტიკის განხორციელებისთვის, მაღალკვალიფიციური ინსტრუქტორები, დასაქმების შესაძლებლობა სწავლების პროცესში.

მან ასევე ისაუბრა პროგრამის საჭიროების დასაბუთებაზე, აღნიშნა, რომ არის მზარდი მოთხოვნა საცალო და საბითუმო ვაჭრობის მიმართულებით კადრებზე, მათ შორის დისტრიბუტორებზე, დასძინა, რომ არის შესაბამისი კვალიფიკაციის და უნარ-ჩვევების მქონე ადამიანური რესურსის დეფიციტი, ასევე, ასოციაციის 90-მდე წევრი კომპანიის მხრიდან არის გადამზადებული კადრების მოთხოვნა, ასევე მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა დასაქმების მზარდი მაჩვენებელი. მან დასძინა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი არის მუდმივად მზარდი, დაახლოებით 60%, ვინც არ არის დასაქმებული, მათ მიზანს არ წარმოადგენს დასაქმება, მათთვის მნიშვნელოვანია კარგად გაერკვნენ ამ პროცესებში. ეს პროგრამა ეხმარება მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს გაიღრმავონ ცოდნა ამ კუთხით.

მან ასევე აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამა „დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში“ გამარჯვებულად გამოცხადდა ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - /MCA Georgia-ს მიერ ორგანიზებულ პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კატეგორიაში „2021 წლის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა“.

საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, თუ რამდენმა მსმენელმა დაასრულა ამ პროგრამაზე სწავლება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამჟამად 80-მდე კურსდამთავრებულია, მათგან დიდი ნაწილი დასაქმებულია, თუმცა შესაძლებელია მეტიც იყოს დასაქმებული, ვინაიდან ეს არის დასრულების დროს მიღებული ინფორმაცია.

მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი ნაკადი ჰყავდა ორგანიზაციას სამი წლის განმავლობაში ამ პროგრამაზე, რაზეც მარინე გვრიტიშვილმა უპასუხა, რომ 6 ნაკადი ჰყავდა ორგანიზაციას.

მარიკა ზაქარეიშვილი ასევე დაინტერესდა, თუ რამდენმა მსმენელმა ვერ დაასრულა სწავლა ამ პროგრამაზე და რა იყო ამის მიზეზი, რაზეც ორგანიზაციის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც პირებს თავიდან არ ჰქონდათ გააზრებული, თუ სად მიდიოდნენ, ხოლო ნაწილი იყო დასაქმებული, და იქიდან გამომდინარე, რომ ამ პროგრამაზე ინტენსიური სწავლებაა, ვერ შეძლეს სწავლის გაგრძელება.

მარიკა ზაქარეიშვილმა მიულოცა ორგანიზაციას და დაწესებულებას გამარჯვება ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - /MCA Georgia-ს მიერ ორგანიზებულ პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კატეგორიაში „2021 წლის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა“. დასძინა, რომ გულშემატკივრობდა ამ ორგანიზაციას, წარმატებები უსურვა კოლეჯსაც და კომპანიასაც, მან ყურადღება გაამახვილა სწავლის გრაფიკის მოქნილობაზე, რომ გრაფიკის მოქნილობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ეფექტური სწავლებისთვის.

შემდეგ კომენტარი გააკეთა ია ერაძემ. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს, ცენტრს და დასძინა, რომ ამ სამი წლის განმავლობაში დიდი საქმე გააკეთა ცენტრმა და საბჭომ არამარტო წარმოდგენილი პროგრამების უფლების მინიჭების საკითხში, არამედ პოპულარიზაცია გაუწია პროფესიულ განათლებას.

ია ერაძემ ასევე ისაუბრა პროგრამაში ცვლილებების შეტანის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროცესს აკვირდებოდნენ არა მხოლოდ ამ პროგრამასთან მიმართებაში, არამედ, ზოგადად, სხვა პროგრამებთან მიმართებაშიც. მსჯელობა იმართებოდა ბატონ ივანესთან ერთად, ასევე, განხორციელდა დარგთან კონსულტაცია, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი ყოფილიყო შეჭრილად, ეს იქნებოდა ძალიან მომხიბვლელი. ასეთი ცვლილება ბატონ ივანეს ინიციატივით გაკეთდა.

გავხადეთ პროგრამა უფრო მოქნილი, უფრო მოქნილი გახდა სწავლების პროცესი და ძალიან მომხიბვლელი გახდა რეგიონებისთვის, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მსმენელების დასაქმებას თავიანთ რეგიონებში.

მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ ონლაინ სწავლების კომპონენტი არ უნდა იყოს აკრძალული, ვინაიდან ეს არის მოქნილობის საფუძველი, თუ კარგად არის ორგანიზებული, პრაქტიკის ნაწილი ისედაც არის გათვალისწინებული პროგრამაში, ხელმისაწვდომია კარგი პრაქტიკა. თეორია თუ კარგად არის ორგანიზებული, არის ინტერაქტიულ რეჟიმში, ეს ხელს შეუწყობს სწავლების ეფექტიანობას.

შემდეგ ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი ივანე ჭყონია მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა პრეზენტატორს ასეთი ამომწურავი პრეზენტაციისთვის, ასევე მან მადლობა გადაუხადა ია ერაძეს იმისთვის, რომ კოლეჯისა და ასოციაციის პარტნიორობაში კოლეჯის წილი იყო ძალიან მნიშვნელოვანი და რომ არა ეს კონკრეტული კოლეჯი, ეს პროგრამა ვერ განხორციელდებოდა, ბიზნესისთვის ძალიან რთულია ამ პროცესებში ჩართვა. მან ასევე დასძინა, რომ ონლაინ სწავლება რომ არ იყოს, სერიოზული პრობლემები იქნებოდა რეგიონებთან მიმართებაში, ვინაიდან ძალიან მაღალია რეგიონების მხრიდან ჩართულობა. მან ასევე დასძინა, რომ ძალიან სერიოზული პრობლემაა ადამიანების მოზიდვა, მიუხედავად იმისა, რომ დაგვაჯილდოვეს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პროექტის რეკლამირებაც ხდება, ეს პრობლემა მაინც არის დღის წესრიგში. ბოლოს მან წარმატება უსურვა საბჭოს და ცენტრს და მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის.

შემდეგ დარგის ექსპერტმა პანტელეიმონ გაბუნამ მადლობა გადაუხადა ორგანიზაციას პრეზენტაციისთვის, დასძინა რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროგრამის განხორციელება,

რამიც დიდი წვლილი შეიტანა შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-მ. ჩავრთოთ უფრო მეტი ადამიანები და შესაბამისად მივიღებთ კვალიფიციურ კადრებს.

საბჭოს წევრი თორნიკე ჯობავა დაინტერესდა, კადრების დეფიციტი შრომის ბაზარზე დიდია მომსახურების სფეროში, საინტერესოა, გამოცხადებული ვაკანსიის დროს, რამდენად ითხოვენ გამოცდილებას, რამდენად მათ სთხოვენ, ამ დეფიციტის პირობებში, ცოდნას და იმ უნარებს, რასაც პროგრამა აძლევს მსმენელებს. რამდენად მოთხოვნიდა, რომ პირს ჰქონდეს გამოცდილება.

ამასთან დაკავშირებით ივანე ჭყონიამ განმარტა, რომ ამ პროგრამაზე წინაპირობები არის მინიმალისტური, ძალიან მნიშვნელოვანია, გვყავდეს ისეთი კურსდამთავრებულები, რომლებიც თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკასაც გადიან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის „დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში“ /01448/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციას (ს/კ: 405151767) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში /01448/ (დანართი 1).

შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის წარმომადგენელს, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ხარისხის მართვის მენეჯერ თამთა კვინიკაძეს ყველა წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებაში ერთიანად ესაუბრა.

2. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი“ /01471/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

3. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ /01465/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „ელექტრორკალური შედუღება“ /01464/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

5. ა(ა)იპ სამშენებლო კოლექტივ კონსტრუქტ2-ის „მონოლითური სამუშაოების შესრულება“ /01466/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ სამშენებლო კოლექტივ კონსტრუქტ2-ის „საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება“ /01467/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ სამშენებლო კოლექტივ კონსტრუქტ2-ის „სხვადასხვა ტიპის ზედაპირებზე სამღებრო სამუშაოების წარმოება“ /01470/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ სამშენებლო კოლექტივ კონსტრუქტ2-ის „სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება“ /01468/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ სამშენებლო კოლექტივ კონსტრუქტ2-ის „სხვადასხვა სახის სახურავის მოწყობა“ /01469/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 და მე-9 საკითხები საბჭოს სხდომაზე ერთად წარადგინა ა(ა)იპ სამშენებლო კოლექტივ კონსტრუქტ2-ის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ხარისხის მართვის მენეჯერმა თამთა კვინიკაძემ.

მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი 8 პროფესიული მომზადების პროგრამიდან 6 პროგრამას დაწესებულება ახორციელებდა, ვინაიდან უფლების მოპოვების ვადა (3 წელი) ამოიწურა, დაწესებულებამ განმეორებით შემოიტანა განაცხადები, თუმცა ორი პროფესიული მომზადების პროგრამა - საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება და მონოლითური სამუშაოების შესრულება, პირველად შემოიტანა ცენტრში.

მან ისაუბრა, პროფესიული მომზადების პროგრამების სპეციფიკაზე და აღნიშნა, რომ პირველი 2 თვე თეორიული და პრაქტიკული სწავლება განხორციელდება დაწესებულებაში, 2.5 თვე ანაზღაურებადი (1500 ლ.) პრაქტიკა რეალურ ობიექტებზე, ხოლო შემდეგ მსმენელები საქმდებიან „ბიჭეი ქონსტრაქშენში“.

რაც შეეხება დაფინანსებას, სწავლების იმ ნაწილს, რომელიც ხორციელდება დაწესებულებაში აფინანსებს პროფესიული უნარების სააგენტო, ხოლო დანარჩენს აფინანსებს თვითონ კომპანია. შემდეგ თამთა კვინიკაძე შეეხო პროგრამის/პროგრამების მიზანშეწონილობას, მან აღნიშნა, რომ სამშენებლო კოლექტივი „კონსტრუქტ2“ 2017 წლიდან თანამშრომლობს თანადადამფუძნებელ კომპანია „ბიჭეი ქონსტრაქშენთან“. მან დასძინა, რომ ბიზნესთან მჭიდრო კომუნიკაცია საშუალებას აძლევს კოლექტივს, სწორად დაინახონ შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევები, დააიდენტიფიცირონ მოთხოვნადი პროფესიები;

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დასაქმებულთა სტრუქტურაში ISCO-ს ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით დასაქმებულებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები გამოირჩევიან; 3 წლის განმავლობაში მომზადების პროგრამების მიმართულებით კოლექტივმა მიიღო 400-მდე მსმენელი და აქედან 71% სერტიფიცირებული პროფესიონალია. კურსდამთავრებულების 61%-ზე მეტი დღემდე დასაქმებულია პარტნიორ კომპანიაში, ხოლო 20%-ზე მეტი სხვა კერძო სამშენებლო კომპანიაში; „სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევის“ მიხედვით სამშენებლო ინდუსტრიაში ქალების მხოლოდ 7.6%-ია დასაქმებული. აღსანიშნავია, რომ კოლექტივში 2022 წელს 5 ქალი მსურველი დარეგისტრირდა და აქედან 2 დაწესებულების მსმენელი გახდა; „ბიჭეი ქონსტრაქშენში“ შესრულებული, მიმდინარე და სამომავლო პროექტების მასშტაბურობიდან გამომდინარე საჭიროებს, ყველა ჩამოთვლილ პროფესიაში (ელექტროკალური შედუღება; ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება; საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების წარმოება; მონოლითური სამუშაოების წარმოება მშენებლობაზე; სხვადასხვა ტიპის ზედაპირებზე სამღებრო სამუშაოების წარმოება; სხვადასხვა

სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება; სხვადასხვა სახის სახურავის მოწყობა; შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი;) მაღალკვალიფიციური კადრების არსებობას და მათ დასაქმებას სამშენებლო ობიექტებზე; „სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევის“ მიხედვით ხელოსნებისა და მონათესავე პროფესიების მუშაკთა პროფესიულ ჯგუფის წარმომადგენლით მუშახელის რაოდენობის გაზრდას საწარმოთა 60% აპირებს.

პრეზენტაციაში მან წარმოადგინა ასევე პროფესიული მომზადების პროგრამების ანალიზი, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში განხორციელდა შემდეგი პროგრამები: არმატურისა და ბეტონის ნაკეთობის დამზადება მშენებლობაზე; მშენებლობაზე ქარგილების კარფანჯრისა და იატაკის მოწყობა; ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება; სხვადასხვა სახის სახურავის მოწყობა მშენებლობაზე; სხვადასხვა სახის საბათქაშე სამუშაოების წარმოება; საკალატოზო სამუშაოების შესრულება; ელექტრო რკალური შედუღება, არ განხორციელებულა შემდეგი პროგრამები: სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება; შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი; სხვადასხვა ტიპის ზედაპირებზე სამღებრო სამუშაოების შესრულება. შემდეგ წარმოადგინა კურსდამთავრულების სტატისტიკა.

თავის პრეზენტაციაში იგი შეეხო მსმენლების მიერ სწავლის მიტოვების მიზეზებს, რომელიც სამ ჯგუფად დაიდენტიფიცირდა.

პირველი ჯგუფი - სასწავლებლის არახელსაყრელი მდებარეობა, რეგისტრაციის სიმარტივის გამო გაუცნობიერებელი არჩევანი, ნაკლები მოტივაცია.

მეორე ჯგუფი - სასწავლებლის არახელსაყრელი მდებარეობა, საკუთარი და/ან ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფინანსური პრობლემები - მგზავრობასთან და კვებასთან დაკავშირებული.

მესამე ჯგუფი - სასწავლებლის არახელსაყრელი მდებარეობა, საკუთარი და/ან ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფინანსური პრობლემები - მგზავრობასთან და კვებასთან დაკავშირებული, საცხოვრებლის პრობლემა თბილისში (პრაქტიკულ კომპონენტს გადიან სამშენებლო კომპანიაში).

შემდეგ მან წარმოადგინა რუკა, სადაც აღნიშნული იყო თუ რომელ რეგიონებს მოიცავდა დაწესებულება, კერძოდ, ეს რეგიონებია იმერეთი (ზესტაფონი, ქუთაისი, ჭიათურა, საჩხერე, ხონი), სამეგრელო (მარტვილი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ფოთი), ქვემო ქართლი (თეთრიწყარო, რუსთავი, გარდაბანი), შიდა ქართლი (გორი, ხაშური), კახეთი (ახმეტა, სიღნაღი), სამცხე-ჯავახეთი (ადიგენი, ახალციხე), სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, გურია, თბილისი.

პრეზენტაციის ბოლოს თამთა კვინიკაძემ წარმოადგინა აღნიშნული პროგრამების მიხედვით სასწავლო გარემოების ფოტოები.

იგი ასევე შეეხო ვიზიტის დროს წარმოდგენილი პროგრამების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებს, რომლებიც ყველა პროგრამებისთვის იყო იდენტური.

რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 3.7

- გამომდინარე იქიდან, რომ დანართი არის სერტიფიკატის განუყოფელი ნაწილი, დაწესებულებამ უზრუნველყოს მათი ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა;
- დაწესებულებამ სერტიფიკატში ასახოს პროგრამის სახე (პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება);
- დაწესებულებამ სერტიფიკატის დანართში ასახოს სწავლის ვიწრო სფეროს კოდი.

რეკომენდაციებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდა დაწესებულება რეკომენდაციებს.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა მაღლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს ასეთი ამომწურავი და საინტერესო პრეზენტაციისთვის და წარმატებები უსურვა დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ ქუჩულორია დაინტერესდა, მხოლოდ ერთ კომპანიასთან თანამშრომლობდა დაწესებულება, თუ სხვა კომპანიებთანაც იყო მოლაპარაკებები, რაზეც თამთა კვინიკაძემ განმარტა, რომ ამ პროგრამების განხორციელების პროცესში ამ კონკრეტულ კომპანიასთან თანამშრომლობდნენ, თუმცა იყო შემთავაზება სხვა კომპანიების მხრიდან, მაგრამ რეალურად მხოლოდ ამ კომპანიასთან არის თანამშრომლობა.

აქვე საყურდღებოა ის ფაქტი, რომ დაწესებულება თვითონ აწვდის კომპანიებს იმ კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაციას, ვინც დაასრულეს აღნიშნული პროგრამები. მარიამ ქუჩულორიამ განმარტა, რომ ამ კითხვის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ერთ-ერთმა კომპანიამ გამოთქვა სურვილი დაწესებულებასთან თანამშრომლობის, თუმცა როგორც მათ აღნიშნეს, ვერ შედგა თანამშრომლობა. ამის შემდეგ კომპანიამ თავისით მოამზადა კადრები.

შემდეგ მარიამ ქუჩულორიამ მიმართა დარგის ექსპერტებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება. დარგის ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, რომ ერთ პროგრამაზე (შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი) იყო დარგის ექსპერტი და დაამატა, რომ სწავლების პროცესი, აღჭურვილობა და ბაზა მისაღებია და ერთადერთი პრობლემა არის ტერიტორიული მდებარეობა დაწესებულების, ბოლოს მან კოლეჯს წარმატება უსურვა.

დარგის ექსპერტმა თეა ნარეკლიშვილმა ისაუბრა, რომ იმ პროგრამების ფარგლებში, რომლებიც მან შეაფასა(სხვადასხვა ტიპის ზედაპირებზე სამღებრო სამუშაოების წარმოება, სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება, სხვადასხვა სახის სახურავის მოწყობა) დასკვნები იყო დადებითი, სრული მზაობა არსებობს კოლეჯში ამ პროგრამების განსახორციელებლად. თვლის, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ კომპანიასთან თანამშრომლობა და წარმატებები უსურვა დაწესებულებას.

ასევე, შეფასებული პროგრამების თაობაზე ისაუბრეს დარგის ექსპერტებმა დავით გუდაძემ (ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება) და გივი დოლიძემ (ელექტრორკალური შედუღება, მონოლითური სამუშაოების შესრულება, საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება), მათ აღნიშნეს, რომ ყველა დასკვნა დადებითია, კოლეჯში სრული მზაობა არსებობს ამ პროგრამების განსახორციელებლად და წარმატება უსურვეს კოლეჯს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონიათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, ცენტრს ასეთი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი“ /01471/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს

მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლექტივ კონსტრუქტ2-ს (ს/კ:430035874) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი / 01471 / (დანართი 2).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლექტივ კონსტრუქტ2-ის „ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ /01465/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლექტივ კონსტრუქტ2-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება /01465/(დანართი 3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლექტივ კონსტრუქტ2-ის „ელექტრორკალური შედუღება“ /01464/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლექტივ კონსტრუქტ2-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ელექტრორკალური შედუღება /01464/(დანართი 4).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „მონოლითური სამუშაოების შესრულება“ /01466/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მონოლითური სამუშაოების შესრულება / 01466 / (დანართი 5).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება“ /01467/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება /01467/(დანართი 6).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „სხვადასხვა ტიპის ზედაპირებზე სამღებრო სამუშაოების წარმოება“ /01470/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სხვადასხვა ტიპის ზედაპირებზე სამღებრო სამუშაოების წარმოება /01470/(**დანართი 7**).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება“ /01468/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება /01468/(**დანართი 8**).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „სხვადასხვა სახის სახურავის მოწყობა“ /01469/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სხვადასხვა სახის სახურავის მოწყობა / 01469 / (დანართი 9).

საბჭოს სხდომა დასრულდა 12:08 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01448	დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	100	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18-22

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01471	შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის №28

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01465	ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის №28

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01464	ელექტრორკალური შედუღება	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის №28

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01466	მონოლითური სამუშაოების შესრულება	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	60	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის №28

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01467	საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	60	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის №28

დანართი 7

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01470	სხვადასხვა ტიპის ზედაპირებზე სამღებრო სამუშაოების წარმოება	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის №28

დანართი 8

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01468	სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის №28

დანართი 9

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01469	სხვადასხვა სახის სახურავის მოწყობა	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის №28